

შპს  
„თერმოინდუსტრია“  
საიდენტიფიკაციო კოდი 445411484

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო წლისთვის

შპს  
„თერმოინდუსტრია“  
კონსოლიდირებული ანგარიშგება  
საიდენტიფიკაციო კოდი: 445411484

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
საანგარიშგებო წლისთვის

## შინაარსი

|                                                           |                  |
|-----------------------------------------------------------|------------------|
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში.....            | 3                |
| ფინანსური ანგარიშგება.....                                | 4 ფინანსური      |
| მდგომარეობის ანგარიშგება.....                             | 4 მოგება-ზარალის |
| და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....                 | 5                |
| საკუთარიკაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....              | 6                |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....                         | 7                |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები..... | 8                |
| 1. ზოგადი ინფორმაცია.....                                 | 8                |
| 2. მომზადების საფუძველი.....                              | 8                |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....      | 9                |
| 3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები.....                     | 9                |
| 3.2. სავაჭრო მოთხოვნები.....                              | 10               |
| 3.3. გადახდილი ავანსები.....                              | 10               |
| 3.4. მარაგები.....                                        | 10               |
| 3.5. ძირითადი საშუალებები.....                            | 11               |
| 3.6. სავაჭრო ვალდებულებები.....                           | 12               |
| 3.7. საგადასახადო ვალდებულებები.....                      | 12               |
| 3.8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები.....              | 12               |
| 3.9. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი.....                     | 12               |

|                                                      |    |
|------------------------------------------------------|----|
| 3.10. შემოსავლის აღიარება.....                       | 12 |
| 3.11. ხარჯების აღიარება.....                         | 13 |
| 4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები..... | 13 |

## ხელმძღვანელობის პასუხის მგებლობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „თერმოინდუსტრიის“ (შემდგომში „კომპანია“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებზე ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების - „მსს ფასს“ სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ✓ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ✓ გონივრულ მსჯელობაზე დაშეფასებებზე;
- ✓ განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული „მსს ფასს“ სტანდარტის შესაბამისად.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ✓ ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ✓ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება „მსს ფასს“ სტანდარტის მოთხოვნებს;
- ✓ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

შპს  
„თერმოინდუსტრია“  
საიდენტიფიკაციო კოდი: 445411484

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესულა შპს თერმოინდუსტრიის (ს/კ 445411484) და შპს ჰელოს (ს/კ 402064635), როგორც შვილობილ კომპანიის გაერთიანებულ ფინანსური ანგარიშგება.

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 25 სექტემბერს.

ფინანსური მენეჯერი:

/კონსტანტინე კაკულია/

## ფინანსური ანგარიშგება

### ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანიის დასახელება: შპს

თერმოინდუსტრია“

(ს/ნ : 445411484)

### ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

ლარები

|                                                        | 31/12/2019       | 31/12/2018       | 01/01/2018       |
|--------------------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                        |                  |                  |                  |
| ფული და ფულის<br>ეკვივალენტები                         | 270 202          | 323 033          | 195 202          |
| საფაქრო მოთხოვნები                                     | 767927           | 649 250          | 418 350          |
| გადახდილი ავანსები და<br>დარიცხული მისაღები შემოსავალი | 133 414          | 185 600          | 151 926          |
| მარაგები                                               | 5 498 153        | 4 847 646        | 3 357 596        |
| - მზა პროდუქცია                                        | 5 359 499        | 4 847 126        | 3 357 596        |
| - სხვა                                                 | 138 204          | 520              |                  |
| საინვესტიციო ქონება                                    |                  |                  |                  |
| სხვა მიმდინარე აქტივები                                |                  |                  |                  |
| ბიოლოგიური აქტივები                                    |                  |                  |                  |
| - თვითღირებულების მოდელით                              |                  |                  |                  |
| - გადაფასების მოდელით                                  |                  |                  |                  |
| გუდვილი                                                |                  | 342 222          | 30 648           |
| სხვა არამატერიალური აქტივები                           |                  | 2 933            | 3 037            |
| ძირითადი საშუალებები                                   | 796 547          | 535 697          | 534 217          |
| ინვესტიციები შვილობილ<br>კომპანიებში                   |                  |                  |                  |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა<br>წილობრივ ინსტრუმენტებში |                  |                  |                  |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                             |                  |                  |                  |
| <b>სულ აქტივები</b>                                    | <b>7 466 243</b> | <b>6 886 381</b> | <b>4 690 976</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                                   |                  |                  |                  |
| ფინანსური იჯარის<br>ვალდებულება                        |                  |                  |                  |

|                                                                                                      |           |           |           |
|------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|-----------|-----------|
| საეჭრო ვალდებულებები                                                                                 | 1 415 584 | 1 559 999 | 714 462   |
| ვალდებულებების და ხარჯების<br>ანარიცხები                                                             |           |           |           |
| ვალდებულებები<br>თანაშრომელთა მიმართ                                                                 | 33 292    | 37 241    | 13 709    |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                           | 74 200    | 156 106   | 8 479     |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი<br>მიმდინარე სასესხო<br>ვალდებულებები                                     | 860 310   | 802 980   | 129 607   |
| გრძელვადიანი სასესხო<br>ვალდებულებები                                                                |           |           |           |
| მიღებული გრანტები                                                                                    |           |           |           |
| სხვა ვალდებულებები                                                                                   |           |           |           |
| სულ ვალდებულებები                                                                                    | 2 383 386 | 2 556 326 | 866 257   |
| საკუთარი კაპიტალი                                                                                    |           |           |           |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს<br>შემთხვევაში 'კაპიტალი',<br>კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო<br>კაპიტალი') | 1 246 783 | 1 246 783 | 1 246 783 |
| საემისიო შემოსავალი                                                                                  |           |           |           |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                         |           |           |           |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                                                                        | 3 836 074 | 3 083 272 | 2 577 936 |
| გადაფასების რეზერვი                                                                                  |           |           |           |
| სხვა რეზერვები                                                                                       |           |           |           |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                                | 5 082 857 | 4 330 055 | 3 824 719 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და<br>ვალდებულებები                                                            | 7 466 243 | 6 886 381 | 4 690 976 |

შპს  
„თერმოინდუსტრია“

საიდენტიფიკაციო კოდი: 445411484

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
საანგარიშო წლისთვის

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

ლარები

|                                                                | 01.01.2019-31.12.2019 | 01.01.2018-31.12.2018 |
|----------------------------------------------------------------|-----------------------|-----------------------|
| <b>ნეტო ამონაგები</b>                                          |                       |                       |
| საქონლის გაყიდვიდან                                            | 17 897 611            | 14 536 415            |
| მომსახურების გაწევიდან                                         |                       |                       |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                   |                       |                       |
| სხვა                                                           |                       |                       |
| <b>რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b>                   | -13 099 167           | - 10 487 809          |
| საწყისი მარაგები                                               |                       | 3 357 596             |
| მარაგების შესყიდვა                                             |                       | 11 977 859            |
| გადამუშავების დანახარჯები                                      |                       |                       |
| საბოლოო მარაგები                                               |                       |                       |
| <b>საერთო მოგება</b>                                           | <b>4 798 444</b>      | <b>4 048 606</b>      |
| <b>სხვა შემოსავალი</b>                                         |                       |                       |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                       | -1 786 520            | -1 438 358            |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                           | -63 778               | -59 474               |
| საპროცენტო შემოსავალი:                                         |                       |                       |
| საპროცენტო ხარჯი :                                             | -80 938               | -40 720               |
| იჯარის ხარჯი                                                   | -716 679              | -566 589              |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                       | -607 413              | - 527 308             |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                         | -3 255 328            | -2 632 449            |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                       | <b>1 543 116</b>      | <b>1 416 157</b>      |
| <b>გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:</b>                      |                       |                       |
| ფინანსური აქტივები                                             |                       |                       |
| მარაგები                                                       |                       |                       |
| სხვა არაფინანსური აქტივები                                     |                       |                       |
| <b>წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:</b> | <b>-127299</b>        | <b>-82 511</b>        |
| მიღებული დივიდენდები                                           |                       |                       |
| <b>სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)</b>           | <b>64600</b>          | <b>3 814</b>          |

|                                                                        |           |           |
|------------------------------------------------------------------------|-----------|-----------|
| მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | 1 480 417 | 1 337 460 |
| მოგების გადასახადი                                                     | -46 865   | - 32 162  |
| მოგება/(ზარალი)                                                        | 1 433 552 | 1 305 298 |

|                                                                             |           |           |
|-----------------------------------------------------------------------------|-----------|-----------|
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):                                           |           |           |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი | -         | -         |
| სხვა                                                                        |           |           |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                      | -         | -         |
| მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)                                          | 1 433 552 | 1 305 298 |

|                                                 |           |           |
|-------------------------------------------------|-----------|-----------|
| კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი) | 4 330 055 | 3 824 719 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...) |           |           |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)  | -902 226  | - 799 962 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში           |           |           |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                       | 221 476   | -         |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს           | 5 082 857 | 4 330 055 |

ფინანსური მენეჯერი:

/კონსტანტინე კაკულია/

### ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

|                                                   | საანგარიშგებო პერიოდი | წინა საანგარიშგებო პერიოდი |
|---------------------------------------------------|-----------------------|----------------------------|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან   | 1 128 070             | 618 500                    |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | -1 003 546            | -1 045 252                 |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან    | -113 165              | 564 344                    |
| წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში | 11 359                | 137 592                    |
| სავალუტო კურსის ეფექტი                            | -64 190               | -9 761                     |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში       | 323 033               | 195 202                    |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს            | 270 202               | 323 033                    |

ფინანსური მენეჯერი:

/კონსტანტინე კაკულია/

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
საანგარიშო წლისთვის

## ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თერმოინდუსტრია“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 15/06/2012წ; რეგისტრაციის # ბ19042044

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ბოხუას ქუჩა #1  
ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა. #1  
საიდენტიფიკაციო ნომერი: 445411484

დამფუძნებლები / დირექტორი: დმიტრო შტეინგაუზი (პ/ნ 3193419491) - 45 % წილის მფლობელი, დვით შათრიშვილი (პ/ნ 3130319893) – 45 % წილის მფლობელი, დირექტორი/დამფუძნებელი - ლევან თუმანიძე (პ/ნ 61004003603) – 10%

შპს „თერმოინდუსტრიის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა რკინა-კავეულით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით. საქართველოს მასშტაბით ფლობს ფილიალებს: თბილისში, ბათუმში, ფოთში და ზუგდიდში. ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდის რულოდ: 46740  
შპს „ჰელიო“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა რკინა-კავეულით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით.  
საქართველოს მასშტაბით.

დამფუძნებლები / დირექტორი: შპს თერმოინდუსტრია (ს/კ 445411484) – 70% წილის მფლობელი, ვეფხვია თურმანიძე - ( პ/ნ 61005002865) – 15% წილის მფლობელი, არჩილ ლობჟანიძე (პ/ნ 35001004516) – 15% წილის მფლობელი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
საანგარიშო წლისთვის

## 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს თერმოინდუსტრია“ მეორე წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს „მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

### 3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა- ლარი;

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების / ფულადი აქტივების / ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრები ეკვივალენტების ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული ოფიციალური კურსით. კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების/ხარჯების ანგარიშში.

| ვალუტა    | სავალუტო გაცვლითი<br>კურსები პერიოდის ბოლოს |            |            |
|-----------|---------------------------------------------|------------|------------|
|           | 31.12.2019                                  | 31.12.2018 | 31.12.2017 |
| აშშდოლარი | 2,8677                                      | 2.6766     | 2.5922     |
| ევრო      | 3,2095                                      | 3.0701     | 3.1044     |

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის საქონლის რეალიზაციის / მომსახურების შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. აღიარდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

### 3.3 გადახდილი ავანსები

კომპანიის ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის/მომსახურების შესყიდვის მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

### 3.4 მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათებით და აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად.

### 3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმები ბასს 16 - და მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

ერთჯერადი გამოყენების ან/და სხვა საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გამიჯნულად სხვა მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ნარჩენი ღირებულების მეთოდით. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს.

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

### 3.6. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/დამომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

### 3.7. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2019 წლისთვის შეადგენს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც აისახება პერიოდის ბოლოს: გადასახდელი დღე, რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

### 3.8. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

სესხი აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

### 3.9. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში.

### 3.10. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც:

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა;

შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

### 3.11. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.


## 4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშის განმარტებით შენიშვნებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2019 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას.

„მსსფასს“ სტანდარტზე კომპანიის გადასვლის თარიღია 2018 წელი

ფინანსური მენეჯერი:



/ კონსტანტინე კაკულია/